ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 247

"16" აგვისტო 2019 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზ. №128-142-ის მიმდებარედ არსებული 756 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.13.08.009.074) 2 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით სოფიო ზაქარიაშვილისთვის (პ/ნ: 01005004689) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი №128-142-ის მიმდებარედ არსებული 756 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.13.08.009.074) 2 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით სოფიო ზაქარიაშვილისთვის (პ/ნ 01005004689) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 15 ივლისის №19.774.1011 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზ. №128-142-ის მიმდებარედ არსებული 756 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.13.08.009.074) 2 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით სოფიო ზაქარიაშვილისთვის (პ/ნ: 01005004689) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 300 (სამასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**